

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი A.	ახალი, მცირე ზომის დაწესებულებების დიზაინი და მშენებლობა, ხოლო არსებული დაწესებულებების გაუმჯობესება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და რეაბილიტაციის დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად			
შედეგი A1. მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ახალი, მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებების დიზაინი და მშენებლობა				
აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი
A.1.1. ლოჯისტიკური გეგმის შემუშავება არსებული და სამომავლო საჭიროებების გათვალისწინებით	მზად არის ახალი დაწესებულების მშენებლობისა და არსებული შენობების გაფართოების გეგმის ხარჯთაღრიცხვა.	პენიტენციურ დაწესებულებებში გაზრდილია საცხოვრებელი ფართი (ტევადობა), მათ შორის, ახალი დაწესებულებების მშენებლობის გზით.	<p>2019 წლის აპრილისთვის დასრულებულია პენიტენციური დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების პირველადი შეფასება და დადგენილია ახალი შენობების/არსებული შენობების გაფართოების შესაძლებლობები.</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის ახალი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სტანდარტი შემუშავებულია.</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის განვითარების გეგმა ხარჯთაღრიცხვით მომზადებულია.</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის №14 და № 15 პენიტენციური დაწესებულებების დახურვის გეგმა წარდგენილია.</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის №9 და № 19 პენიტენციური დაწესებულებების გადატანის გეგმა წარდგენილია.</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის №17 პენიტენციური დაწესებულების</p>	სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

			<p>დახურვის გეგმა წარდგენილია.</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის მომზადებულია №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დამლევის გეგმა</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი და №9 დაწესებულება განთავსებულია ცალკე დაწესებულებაში, გახსნილია 600-ადგილიანი ახალი დაწესებულება</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის ლაითურის დაწესებულების მშენებლობა დასრულებულია</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის 2 ახალი მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულების გეგმა შემუშავებულია</p>	
A.1.2. პენიტენციური დაწესებულებების სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ეფექტიანობის და ტევადობის შესწავლა	ანგარიში და რეკომენდაციები მსჯავრდებულთა სხვა დაწესებულებებში გადაყვანის და დაწესებულებების ხელახალი კლასიფიკაციის შესახებ მზად არის	პენიტენციური დაწესებულებების არსებული ტევადობა უფრო ეფექტიანად არის გამოყენებული	2019 წლის ივნისისთვის მომზადებულია ანგარიში შესაბამისი რეკომენდაციებით	სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, პენიტენციური დეპარტამენტის უფროსი, ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
A.1.3. საკნებში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების წლიური გეგმა მზად არის	გაუმჯობესებულია საცხოვრებელი და სამუშაო პირობები თავისუფლებადაკვეთილი პირებისთვის	<p>2019 წლის დეკემბრისთვის პირველადი სამუშაოები დასრულებულია.</p> <p>2020 წლის ივნისისთვის შემუშავებულია დაგეგმილი სარემონტო/განახლებითი სამუშაოების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პენიტენციური დაწესებულებების მანდელას წესებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას</p>	სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
შედეგი A2. პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების, გარე პერიმეტრის დაცვისა და ესკორტის ღონისძიებების გაუმჯობესება დაწესებულებებიდან გაქცევის, მიმალვის ან დაწესებულებაში უკანონო ნივთების შეტანის შესაძლებლობის შემცირების მიზნით				
აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს

				სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი
A 2.1. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლთან (ბუფერულ ზონასთან) დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება	ყველა პენიტენციური დაწესებულების აუდიტი ჩატარებულია; გაუმჯობესების გეგმა შემუშავებულია	დაწესებულებებში არაკანონიერი და კონტრაბანდული მასალის/ნივთების შეტანის შესაძლებლობები შემცირებულია	2019 წლის აპრილისთვის დასრულებულია პენიტენციური დაწესებულებების აუდიტი 2019 წლის სექტემბრისთვის მზად არის სარემონტო/განახლებითი სამუშაოების გეგმა და შემცირებულია მიწოდება და მოთხოვნა 2020 წლის დეკემბრისთვის პენიტენციური დაწესებულებების 80%-ში ჩატარებულია სარემონტო/განახლებითი სამუშაოები აკრძალულ ზოლში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით	სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

შედეგი A3. პირობების გაუმჯობესება არასრულწლოვნების, ახალგაზრდა ზრდასრული პირებისა და ქალებისათვის

აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი
A 3.1. I) ბრალდებული არასრულწლოვნებისთვის II) მსჯავრდებული არასრულწლოვნებისთვის განსხვავებული რეჟიმების განსაზღვრა და ცალკე დაწესებულებების უზრუნველყოფა	დაწესებულებების მოწყობის და რეჟიმების განსაზღვრის გეგმა შემუშავებულია და განხორციელებული	არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან სრულწლოვნებისგან განცალკევებით და ბრალდებული არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან მსჯავრდებული არასრულწლოვნებისგან განცალკევებით	2019 წლის სექტემბრისთვის მზად არის განცალკევების გეგმა, მათ შორის, №8 პენიტენციური დაწესებულებებიდან გადაყვანის გეგმა. 2020 წლის დეკემბრისთვის №2 და №11 პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვნებისთვის მოწყობილია ცალკე ინფრასტრუქტურა 2020 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს განახლებული არასრულწლოვნათა დაწესებულებები; ბრალდებული არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან ზრდასრულებისგან განცალკევებით და ბრალდებული არასრულწლოვნები	სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, პენიტენციური დეპარტამენტის უფროსი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

			განთავსებული არიან მსჯავრდებული არასრულწლოვნებისგან განცალკევებით	
A 3.2. ახალგაზრდა ზრდასრული მსჯავრდებული და ბრალდებული (კაცები) პირებისთვის არსებული პატიმრობის პირობების შესწავლა/გადახედვა	გაუმჯობესების/განახლების გეგმა შემუშავებულია	ახალგაზრდა ზრდასრული ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის პატიმრობის პირობები გაუმჯობესებულია ევროპული სტანდარტების შესაბამისად	2019 წლის სექტემბრისთვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს რეკომენდაციებს გეგმისთვის	სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, პენიტენციური დეპარტამენტის უფროსი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
A 3.3. ქალთა დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, დედათა და ბავშვთა სახლში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გეგმა შემუშავებულია	ქალთა დაწესებულებაში პატიმრობის პირობები გაუმჯობესებულია ევროპული სტანდარტების შესაბამისად	2019 წლის დეკემბრისთვის მომზადებულია კონცეფცია და გამოყოფილია საკმარისი ბიუჯეტი 2020 წლის დეკემბრისთვის დედათა და ბავშვთა სახლი სრულად ფუნქციონირებს	სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი
მიზანი B.	პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის განხორციელების გზით განმეორებითი დანაშაულის შემცირება და შედეგად დანაშაულის პრევენცია			
შედეგი B1. ინდივიდუალური შეფასების, მათ შორის, კლასიფიკაციის, სასჯელის დაგეგმვის და შემთხვევის მართვის ეფექტიანი მეთოდოლოგიების იმპლემენტაცია				
აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი
B1.1. პენიტენციური და პრობაციის სისტემებისთვის შემუშავებული რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტის გადახედვის დასრულება და მონაცემთა შეგროვების სისტემის დანერგვა	რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტი მზად არის რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტი დანერგილია.	ინდივიდუალური შეფასება გაუმჯობესებულია აგრეგირებული მონაცემების შეგროვების შესაძლებლობით	2019 წლის მაისისთვის პრობაციის სისტემაში სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტის გამოყენება დაიწყო. 2019 წლის ივნისისთვის პრობაციის სისტემაში დასრულებულია მონაცემთა	სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-

	<p>თანამშრომლები გადამზადებული არიან რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტის გამოყენების კუთხით</p> <p>მონაცემთა შეყვანასთან დაკავშირებული პროცედურები დასრულებულია</p>		<p>შეყვანის და შეგროვების სისტემის შექმნა.</p> <p>2019 წლის ივნისისთვის მომზადებულია წინასასამართლო ეტაპზე არასრულწლოვანთა რისკებისა და საჭიროებების პილოტირების შეფასებისა და რეკომენდაციების ანგარიში</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის პენიტენციური და პრობაციის სისტემის ყველა თანამშრომელს, რომლებიც იყენებენ რისკების და საჭიროებების შეფასების ახალ ინსტრუმენტს, გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის რისკების და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება მოხდა უვადო თავისუფლებადკვეთილ პირებთან მიმართებით, რომლებიც განთავსებული არიან №3, №6, №7, №8 დაწესებულებებში</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება განხორციელდა №5, №11 და №16 დაწესებულებებში</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის რისკების და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება განხორციელდა კონკრეტული კატეგორიის მსჯავრდებულებთან მიმართებით №2 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში</p> <p>2020 წლის სექტემბრისთვის რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტი და მონაცემთა შეგროვების სისტემა სრულად არის დანერგილი პრობაციის სისტემაში</p>	<p>რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი</p> <p>სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი</p>
B.1.2. შემთხვევის მართვის	შემთხვევის მართვის	შემთხვევის მართვა	2019 წლის ივნისისთვის	სსიპ „არასაპატიმრო

<p>მოდელზე მუშაობის დასრულება №16 დაწესებულებაში და აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში</p>	<p>მოდელი სრულად არის შემუშავებული და მისი იმპლემენტირების გეგმა მომზადებულია</p>	<p>მულტიდისციპლინური გუნდების მიერ ხორციელდება</p>	<p>შემთხვევის მართვის მოდელი დანერგულია №11 დაწესებულებაში</p> <p>2020 წლის ივნისისთვის შემთხვევის მართვის მოდელი სრულად დანერგულია №5, №16 პენიტენციურ დაწესებულებებში</p>	<p>სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე</p> <p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი</p>
<p>B 1.3. პრობაციის სისტემაში რისკებისა და საჭიროებების შეფასების ვალიდურობის დადგენის მიზნით სათანადო კვლევის მომზადება და ჩატარება</p>	<p>რისკების და საჭიროებების შეფასების ვალიდურობის კვლევა დასრულებულია</p>	<p>დადგენილია, რომ საქართველოში შემუშავებული რისკების და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტს პრობაციის სისტემაში აქვს პროგნოზირების შესაძლებლობა</p>	<p>2019 წლის ივლისისთვის რისკების და საჭიროებების შეფასების ვალიდურობის დადგენის მიზნით სათანადო კვლევის დიზაინი მომზადებულია</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის ვალიდაციის კვლევისთვის მონაცემების შეგროვება და დამუშავება დასრულებულია</p>	<p>სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე</p>
<p>შედეგი B2. ეფექტიანობის მტკიცებულებებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო ფსიქოსოციალური მეთოდების შემუშავება</p>				
<p>აქტივობა</p>	<p>შუალედური შედეგი</p>	<p>(მოსალოდნელი) შედეგი</p>	<p>შესრულების ვადა და ინდიკატორები</p>	<p>იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი</p>
<p>B 2.1. რისკებისა და საჭიროებების შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე სათანადო პროგრამების და ინტერვენციების იდენტიფიცირება და შემუშავება</p>	<p>განვითარების გეგმა მომზადებულია, თანამშრომელთა ტრენინგის საჭიროებები განსაზღვრულია</p>	<p>იდენტიფიცირებულია და შემუშავებულია მთელი რიგი საჭირო ინტერვენციებისა</p>	<p>2019 წლის დეკემბრისთვის შემუშავებულია, სულ მცირე, 2 პროგრამა/ინტერვენცია, თანამშრომლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი მათი გამოყენების კუთხით; პროგრამები/ინტერვენციები პილოტირებულია</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის შემუშავებულია დამატებით კიდევ 3 პროგრამა/ინტერვენცია.</p> <p>თანამშრომლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი მათი გამოყენების კუთხით; პროგრამები/ინტერვენციები პილოტირებულია</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის 5 პროგრამა სრულად</p>	<p>სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე</p> <p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი</p> <p>სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი</p>

			ფუნქციონირებს პრობაციის სისტემაში	
B 2.2. პროგრამების/ინტერვენციების გავლენისა და შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება	შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულია	პროგრამების და ინტერვენციების ეფექტურობის გაზომვა შესაძლებელია	2019 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს მონაცემთა შეგროვების და ანალიზის სისტემა 2019 წლის დეკემბრისთვის პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლისთვის შექმნილია სამართლებრივი ჩარჩო 2020 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს შიდა შეფასების სისტემა 5 სარეაბილიტაციო პროგრამასთან მიმართებით	სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე
B 2.3. სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, პრობაციის ოფიცრების და რეჟიმის თანამშრომლების პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი გადამზადების ხელშეწყობა	ტრენინგისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სტრატეგიები შემუშავებულია.	მსჯავრდებულებთან მუშაობის კუთხით, თანამშრომლების ჩართულობის, გასაუბრებისა და მოტივაციის გაზრდის უნარ-ჩვევები გაძლიერებულია	2019 წლის მაისისთვის პრობაციის, პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა 100%-ს გავლილი აქვს მოტივაციური ინტერვიუს და ჩართულობის ტრენინგი	სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი
შედეგი B3. გათავისუფლებისათვის მომზადების პოლიტიკის დანერგვა, პენიტენციური დაწესებულებიდან პრობაციის სისტემაში გადასვლის, პენიტენციური დაწესებულებიდან/პრობაციიდან საზოგადოებაში დაბრუნების ხელშესაწყობად				
აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი
B 3.1. გათავისუფლების-თვის მომზადების კონ-ცეფციის შემუშავება სა-ქართველოში არსებული ყველა პენიტენციური დაწესებულებისთვის	გათავისუფლებისათვის მომზადების კონცეფცია შემუშავებულია და მას გაეცნო ყველა დაინტერესებული მხარე	გათავისუფლებისთვის მომზადების განყოფილება ფუნქციონირებს და მჭიდროდ თანამშრომლობს სამოქალაქო პარტნიორებთან	2019 წლის თებერვლისთვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი. 2019 წლის დეკემბრისთვის მზად არის გათავისუფლებისთვის მომზადების კონცეფცია	სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და

				პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე
B 3.2. გათავისუფლებისთვის მომზადების მეთოდო-ლოგიის შემუშავება და თანამშრომლების გადამზადება	გათავისუფლებისთვის მომზადების მეთოდოლოგია და თანამშრომლების ტრენინგის გეგმა შემუშავებულია	გათავისუფლებისთვის მომზადების მექანიზმი გაუმჯობესებულია, რაც ხელს უწყობს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას	2020 წლის ივნისისთვის ყველა ჩართული თანამშრომელი გადამზადებულია	სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი
B 3.3. პირობით ვადამდე გათავისუფლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, რომელიც მეტად არის ორიენტირებული გათავისუფლების შემდგომ რისკებზე	პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის ახალი შეფასების სისტემა და პროცედურები შემუშავებულია	პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი მეტად ეფუძნება რისკებს, რაც მეტად უზრუნველყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას	2019 წლის ივნისისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების შეფასების ახალი კონცეფცია შემუშავებულია 2020 წლის ივნისისთვის ფუნქციონირებს პირობით ვადამდე გათავისუფლების ახალი სისტემა. 2020 წლის დეკემბრისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს წევრები გადამზადებული არიან	იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი
შედეგი B4. სარეაბილიტაციო პროგრამების განმავითარებელი მდგრადი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო ინიციატივების შემუშავებას, იმპლემენტაციას, ზედამხედველობას და მონიტორინგს				
აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი

<p>B4.1. კომპეტენციის სფერო და საჭირო რესურსები შეთანხმებულია</p>	<p>კომპეტენციის სფერო განსაზღვრულია, შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული</p>	<p>უფრო მეტად თანმიმდევრული და მდგრადი სარეაბილიტაციო მიდგომა დამკვიდრებულია</p>	<p>2019 წლის აპრილისთვის კომპეტენციის სფერო და საშტატო დაკომპლექტება/ რესურსების ალოკაცია დასრულებულია.</p> <p>2020 წლის იანვრისთვის ახალი სტრუქტურული ერთეული შექმნილია</p>	<p>იუსტიციის მინისტრი</p>
---	---	--	--	---------------------------

შედეგი B5. 14 წლამდე ასაკის ბავშვებთან დანაშაულის პრევენციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება

<p>აქტივობა</p>	<p>შუალედური შედეგი</p>	<p>(მოსალოდნელი) შედეგი</p>	<p>შესრულების ვადა და ინდიკატორები</p>	<p>იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი</p>
<p>B5.1. 14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის რეფერალის ცენტრის შექმნა</p>	<p>კონცეფცია, კანონი და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია</p>	<p>14 წლამდე ასაკის იდენტიფიცირებულ და რეფერირებულ ბავშვებში დანაშაული შემცირებულია</p>	<p>2019 წლის მარტისთვის პარლამენტში წარდგენილია კანონპროექტი</p> <p>2019 წლის ივლისისთვის კონცეფცია და სამოქმედო გეგმის ნაწილი მზად არის</p> <p>2019 წლის ოქტომბრისთვის ცენტრის თანამშრომლები შერჩეულნი არიან</p> <p>2020 წლის იანვრისთვის ცენტრი ფუნქციონირებს</p>	<p>სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე</p> <p>იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი</p>
<p>B5.2. ფუნქციონირებს კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საქმეების/შემთხვევების სწრაფ კოორდინაციას და რეფერალს (გადამისამართებას)</p>	<p>უწყებები იდენტიფიცირებულია და სწრაფი რეფერალური მექანიზმი შემუშავებულია</p>	<p>შესაბამისი რეფერირება დროულად</p>	<p>2019 წლის სექტემბრისთვის განსაზღვრულია უწყებების მოვალეობები.</p> <p>2020 წლის იანვრისთვის მომზადებულია ინფორმაციის გაცვლის სქემა</p>	<p>სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე</p>

შედეგი B6. პატიმრებისთვის, პრობაციონერებისთვის, ყოფილი პატიმრებისა და 14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სერვისების და რესურსების რუკის/მონაცემთა ბაზის გაუმჯობესება

<p>აქტივობა</p>	<p>შუალედური შედეგი</p>	<p>(მოსალოდნელი) შედეგი</p>	<p>შესრულების ვადა და ინდიკატორები</p>	<p>იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი</p>
-----------------	-------------------------	-----------------------------	--	--

<p>B6.1. სერვისების რუკის/მონაცემთა ერთიანი ბაზის გაუმჯობესება და განახლება</p>	<p>მზად არის განახლებული სერვისების რუკა და მუდმივი განახლების სისტემა</p>	<p>განახლებული ინფორმაცია ყველა არსებული სერვისის შესახებ ხელმისაწვდომია</p>	<p>2019 წლის ივნისისთვის ყველა სერვისი გაერთიანებულია/ თავმოყრილია ერთ მონაცემთა ბაზაში/სივრცეში</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის ერთიანი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის რეგულარული განახლებისა და მიების მექანიზმი დანერგულია</p>	<p>სსიპ „სმართ ლოჯიკის“ (SMART LOGIC) დირექტორი</p> <p>სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე</p>
<p>მიზანი C.</p>	<p>პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბრალდებულების, მსჯავრდებულების, თანამშრომლებისა და სტუმრებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა</p>			
<p>შედეგი C1. პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბენეფიციარების, თანამშრომლებისა და სტუმრებისათვის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება</p>				
<p>აქტივობა</p>	<p>შუალედური შედეგი</p>	<p>(მოსალოდნელი) შედეგი</p>	<p>შესრულების ვადა და ინდიკატორები</p>	<p>იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი</p>
<p>C 1.1. პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის, შესახლების, ჩხრეკის/შემოწმების და სკრინინგის გაუმჯობესებული მექანიზმი</p>	<p>პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის, ჩხრეკის/შემოწმებისა და სკრინინგის ახალი მექანიზმი ამოქმედებულია</p>	<p>პენიტენციურ დაწესებულებაში კონტრაბანდის შეტანის შემთხვევები შემცირებულია; ბრალდებულ/მსჯავრდებულების, თანამშრომლების და სტუმრების უფრო მეტი დაცულობა უზრუნველყოფილია</p>	<p>2020 წლის იანვრისთვის პენიტენციური დაწესებულებების 50%-ში გაუმჯობესდა ჩხრეკის/ შემოწმებისა და სკრინინგის მექანიზმი.</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის ჩხრეკის/შემოწმებისა და სკრინინგის მექანიზმის გაუმჯობესება განხორციელდა დაწესებულებების დანარჩენ 50%-შიც</p>	<p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე,</p> <p>პენიტენციური დეპარტამენტის უფროსი,</p> <p>ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე</p>
<p>C 1.2. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე დრონების გადაფრენის შემთხვევების შესამცირებლად შესაბამისი ზომების მიღება</p>	<p>პენიტენციური დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე დრონების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა შესწავლილია: საქართველოს პენიტენციური დაწესებულების-</p>	<p>პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე დრონების გადაფრენის შემთხვევები შემცირებულია</p>	<p>2019 წლის ივნისისთვის განხილვა დასრულებულია და გეგმა მომზადებულია</p>	<p>იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი</p> <p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე</p>

	თვის შესაბამისი გეგმა მომზადებულია.			
--	-------------------------------------	--	--	--

შედეგი C2. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მართვის გაუმჯობესება ძალადობრივი ქცევების აღმოფხვრისა და შემცირების მიზნით

აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი
<p>C 2.1. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შორის ძალადობასთან გამკლავების მექანიზმის გაუმჯობესება</p>	<p>მომზადებულია ძალადობასთან გამკლავების მექანიზმის გაუმჯობესების გეგმა,</p> <p>რომელიც ითვალისწინებს ტექნო-ლოგიების გამოყენებას, პერსონალის გადამზადებას, დინამიკური უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას ბრალდებულ/მსჯავრდებულთა წახალისების მექანიზმის გათვალისწინებით</p>	<p>ძალადობრივი შემთხვევების რაოდენობა შემცირებულია</p>	<p>2019 წლის თებერვლისთვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი</p> <p>2019 წლის ივნისისთვის შემუშავებულია წახალისების სისტემის კონცეფცია</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის წახალისების სისტემის პილოტი დაწყებულია სამ პენიტენციურ დაწესებულებაში</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შორის ძალადობასთან გამკლავების გაუმჯობესების გეგმა დანერგილია</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის ძალადობრივი შემთხვევების რაოდენობა 2019 წლის იანვრის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 10%-ით</p> <p>2020 წლის ივნისისთვის ძალადობრივი შემთხვევების რაოდენობა კიდევ 15%-ით შემცირდა</p> <p>2020 წლის ოქტომბრისთვის წახალისების მექანიზმზე დამყარებული რეჟიმი პენიტენციური დაწესებულებების 50%-ში არის დანერგილი</p>	<p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე,</p> <p>პენიტენციური დეპარტამენტის უფროსი,</p> <p>სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი</p>

<p>C 2.2 . კრიზისულ სიტუაციებსა და არეულობასთან (წესრიგის მასობრივ დარღვევასთან) გამკლავების მექანიზმის გადახედვა და მისი შემდგომი განვითარება</p>	<p>არსებული მექანიზმი გადახედილია და კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავების გეგმა შემუშავებულია, რომელიც მოიცავს თანამშრომლებისთვის შესაბამისი ტრენინგით უზრუნველყოფას</p>	<p>კრიზისულ სიტუაციებსა და მასშტაბურ არეულობებზე (წესრიგის მასობრივ დარღვევაზე) რეაგირების მექანიზმი გაუმჯობესებულია</p>	<p>2019 წლის სექტემბრისთვის შემუშავებულია კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავების გეგმა, რომელიც, ასევე, მოიცავს ინციდენტის შემდგომი შეფასების სისტემას</p> <p>2020 წლის მარტისთვის ყველა დირექტორს/მოადგილეს გავლილი აქვს ტრენინგი</p> <p>2020 წლის სექტემბრისთვის ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი და დასრულებულია სიმულაციური სავარჯიშოები</p>	<p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი</p> <p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე</p> <p>სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი</p>
<p>C 2.3. პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულთან/ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები</p>	<p>ცვლილებათა კანონპროექტი შემუშავებულია</p>	<p>ორგანიზებული დანაშაულის ზეგავლენა ბრალდებულ/მსჯავრდებულებზე და, ზოგადად, პენიტენციურ დაწესებულებებზე შემცირებულია</p>	<p>2019 წლის აპრილისთვის მზად არის საკანონმდებლო ცვლილებათა სია.</p> <p>2019 წლის ივნისისთვის მზად არის ცვლილებათა კანონპროექტი .</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის საკანონმდებლო ცვლილებათა კანონპროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში</p>	<p>იუსტიციის მინისტრი</p> <p>იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი</p>
<p>C 2.4. გაუმჯობესებული სამუშაო პირობები პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში</p>	<p>გამოწვევები განსაზღვრულია და შემუშავებულია არსებული ხარვეზების გამოსწორების გეგმა</p>	<p>თანამშრომელთა სამუშაო პირობები გაუმჯობესებულია</p>	<p>2019 წლის აპრილისთვის შემუშავებულია გეგმა</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის მზად არის შუალედური შეფასების ანგარიში</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის პრობაციის ბიუროების 40% გადასულია იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის პრობაციის ბიუროების დარჩენილი 60% ასევე გადასულია იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში.</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის სამუშაო პირობების შემდგომი გაუმჯობესების გეგმა განხორციელებულია</p>	<p>იუსტიციის მინისტრი</p> <p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი</p> <p>სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს" უფროსი</p>
<p>მიზანი D.</p>	<p>ბრალდებულების, მსჯავრდებულების, სტუმრებისა (მოწყვლად ჯგუფებზე განსაკუთრებული აქცენტით) და</p>			

თანამშრომლების უფლებების დაცვა

შედეგი D1. ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების, ასევე ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი პატიმრობის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა

აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი
D1.1 . ძირითადი თანამშრომლების გადამზადება პატიმრობის სტანდარტების ახალი სახელმძღვანელოს მიხედვით	ტრენინგის კურსები შემუშავებულია და ტრენინგები ჩატარებულია	თანამშრომლები ინფორმირებული არიან სახელმძღვანელოს შინაარსის შესახებ	2019 წლის ივნისისთვის ცენტრალური აპარატის და პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელობის 90%-ს გავლილი აქვს ტრენინგი. 2020 წლის მარტისთვის ახალი სახელმძღვანელოს შინაარსი ასახულია ყველა სასწავლო პროგრამაში	სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი
D1.3. სისტემური მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა	სისტემური მონიტორინგის ახალი ჩარჩო შემუშავებულია	სისტემური მონიტორინგის მექანიზმი გაუმჯობესებულია	2019 წლის სექტემბრისთვის სისტემური მონიტორინგი ხორციელდება ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე	სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი
D 1.4 . ქცევის და პროფესიული ეთიკის კოდექსის დანერგვა	სამუშაო ადგილის მიერ შემუშავებულია ქცევის და პროფესიული ეთიკის კოდექსი; თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი	პროფესიული ქცევის ხარისხი გაუმჯობესებულია; არასათანადო მოპყრობის შემთხვევები შემცირებულია	2019 წლის მაისისთვის ეთიკის კოდექსის შესწავლა დასრულებულია 2020 წლის ივნისისთვის ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს ეთიკის კოდექსის შესახებ ცნობიერების ამაღლების ტრენინგი	სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ტრენინგების სამსახურის უფროსი

შედეგი D2. მსჯავრდებულებისთვის დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ამ მიზნით შესაბამისი სისტემებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, მოწყვლადი ადამიანების საჭიროებების გათვალისწინებით

აქტივობა	შუალედური შედეგი	(მოსალოდნელი) შედეგი	შესრულების ვადა და ინდიკატორები	იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი
D 2.1 . მსჯავრდებული პირებისთვის მომზადებისა და გადამზადების ცენტრის შექმნა	მომზადებისა და გადამზადების ცენტრისთვის საჭირო სამართლებრივი ჩარჩო, საშტატო დაკომპლექტება და სამოქმედო გეგმა მზად არის	სასჯელის მოხდის პერიოდში გაუმჯობესებულია პროფესიული სწავლების მიღების შესაძლებლობა და გათავისუფლების შემდეგ დასაქმებისათვის უკეთესი მზაობა	2019 წლის აპრილისთვის მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ფუნქციონირებს	იუსტიციის მინისტრი სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის“ დირექტორი
D 2.2. საკნის გარეთ აქტივობებისთვის განსაზღვრული მინიმალური დროის გადახედვა და ყველა სახის პენიტენციური დაწესებულებისთვის აქტივობებისთვის სათანადო დროის განსაზღვრა	არსებული მოდელი გადახედილია და ანგარიში მომზადებულია; თითოეული კატეგორიის დაწესებულებისთვის საკნის გარეთ აქტივობებისთვის განკუთვნილი დრო განსაზღვრულია.	ბრალდებულ/მსჯავრდებულები მეტ დროს ატარებენ საკნის გარეთ და ჩართული არიან ორგანიზებულ (მიზნობრივ) აქტივობებში.	2019 წლის ივნისისთვის დასრულებულია არსებული მოდელის გადახედვა და მომზადებულია ანგარიში. 2020 წლის ივნისისთვის თითოეული ტიპის დაწესებულებისთვის განსაზღვრულია საკნის გარეთ აქტივობებისთვის განკუთვნილი დრო	იუსტიციის მინისტრი სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის“ დირექტორი
D 2.3. დამსაქმებლებთან პარტნიორობის/ თანამშრომლობის საფუძველზე სამეწარმეო ზონების ჩამოყალიბება	შესაძლებლობები დადგენილია, დეტალური შემოთავაზებები მზად არის	მსჯავრდებულებისთვის დასაქმების და პროფესიული სწავლების მიღების შესაძლებლობები გაზრდილია	2019 წლის აპრილისთვის მზად არის შრომის ბაზრის ანალიზი და კერძო სექტორის მონახაზი 2019 წლის ივნისისთვის კერძო სექტორისთვის კონფერენცია ჩატარებულია 2019 წლის ივნისისთვის ანგარიში და შემოთავაზებები მომზადებულია 2020 წლის ივნისისთვის მსჯავრდებულთა, სულ მცირე, 30% არის დასაქმებული ან/და ჩართულია პროფესიულ სწავლებაში	იუსტიციის მინისტრი სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის“ დირექტორი
D 2.4. საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება ყველა დონეზე – როგორც საბაზისო განათლების (წერა/კითხვა და არითმეტიკა), ისე უმაღლესი განათლების დონის გაუმჯობესება	განათლების სამინისტროსა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების/ სერვისების მომწოდებლებთან თანამშრომლობის გეგმა შემუშავებულია	მსჯავრდებულებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობები გაუმჯობესებულია	2019 აპრილისთვის განათლების სამინისტროსთან ერთად შექმნილია სამუშაო ჯგუფი 2019 წლის სექტემბრისთვის მზად არის ურთიერთგაგების მემორანდუმი და სამოქმედო გეგმა. 2020 წლის ივნისისთვის 30%-ით გაზრდილია საგანმანათლებლო აქტივობები	იუსტიციის მინისტრი სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის“ დირექტორი

<p>D2.5.</p> <p>პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკების გაუმჯობესება</p>	<p>ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საკითხავი მასალის უფრო დიდი არჩევანი და წიგნების ელექტრონული კატალოგი</p>	<p>ბრალდებულ/მსჯავრდებულს უკეთ მიუწვდებოდათ ხელი საკითხავი მასალის დიდ არჩევანზე</p>	<p>2019 წლის მარტში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის ბიბლიოთეკები გამართულად ფუნქციონირებს</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის სოციალური კამპანიის პირველი ციკლი ჩატარდა</p> <p>2020 წლის დეკემბრისთვის სოციალური კამპანიის მეორე ციკლი დასრულდა</p>	<p>იუსტიციის მინისტრი</p> <p>სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის“ დირექტორი</p>
---	---	--	--	---

შედეგი D3. ოჯახებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ოჯახთან კონტაქტის წახალისება

<p>აქტივობა</p>	<p>შუალედური შედეგი</p>	<p>(მოსალოდნელი) შედეგი</p>	<p>შესრულების ვადა და ინდიკატორები</p>	<p>იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი</p>
<p>D 3.1. სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით გეგმის შემუშავება</p>	<p>გეგმა და ახლებური მიდგომა შემუშავებულია და განხორციელებული</p>	<p>ოჯახთან ურთიერთობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია.</p>	<p>2019 წლის ივნისისთვის არასრულწლოვნებთან მიმართებით ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით მიდგომა და გეგმის პროექტი მომზადებულია</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის არასრულწლოვნებთან მიმართებით ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით გეგმის განხორციელების ანგარიში მომზადებულია</p> <p>2020 წლის ივნისისთვის ახლებური მიდგომა ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით დანერგილია</p>	<p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი</p> <p>სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი</p> <p>სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე</p>

შედეგი D4. თანამშრომლებისთვის ღირსეული, რესპექტაბელური და არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების შექმნა პენიტენციურ

დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში				
D4.1. თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	გეგმა შემუშავებულია და განხორციელებული	სამუშაო პირობები გაუმჯობესებულია	<p>2019 წლის აპრილისთვის პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ტერიტორიები არის განახლებული/გარემონტებული</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის პენიტენციური სამსახურის საბადრაგო სამმართველოს თანამშრომლების 100% სათანადოდ არის აღჭურვილი</p> <p>2019 წლის სექტემბრისთვის შემუშავებულია პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების კვებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების გეგმა</p> <p>2019 წლის დეკემბრისთვის გარემონტებულია საგუმბაგოები</p>	სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი
